ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:№49. 49262592
თარიღი:16/09/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში

სპეციალისტის მოწვევის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ'' პუნქტის, 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „ თ" პუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილების და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 აგვისტოს #გ-49.492623913 განკარგულების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მურთაზი კვერნაძე - მოწვეული იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით პოზიციაზე - სპეციალისტად, 2026 წლის 16 სექტემბრიდან 2027 წლის 1 იანვრამდე.

2. შრომით ხელშეკრულებით პოზიციაზე მყოფი პირის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვროს ხელშეკრულებით /თან ერთვის/.

3. შრომითი გასამრჯელო განისაზღვროს 1820 ლარის ოდენობით (გადასახდელების ჩათვლით).

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი